საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის დაბადება*

პაატა სურგულაძე

პარლამენტარიზმი სახელმწიფოებრივი მართვის მთელი სისტემაა, რომელსაც მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული მსოფლიოს ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში. სახელმწიფოებრივი მმართველობის ეს სისტემა, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, სათავეს XIII საუკუნის ინგლისიდან იღებს. პარლამენტური წყობის შექმნის მცდელობა იყო ფეოდალური ეპოქის საქართველოშიც.

ქართველი ხალხის დიდი ტრადიციების მქონე საუკუნოვან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მნიშვნელოვან მოსაბრუნს 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია წარმოადგენს. რუსეთის ისტორიაში განხორციელებულმა ამ უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ დაამხო რომანოვების დინასტია. სწორედ ამ რევოლუციის გამარჯვებამ გაუხსნა გზა დემოკრატიულ საფუძველზე რუსეთის ძირფესვიანი ცვლილებების ეპოქას, ხოლო მსოფლიოს ყველაზე დიდი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი დაპყრობილი არარუსი ერებისათვის სრული ეროვნული თვითგამორკვევის და მათი ადრინდელი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის რეალური შესაძლებლობა გადაშალა. რუსეთის იმპერიაში ძალით ინკორპორირებული ხალხები ამ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებენ და დაუყონებლივ იწყებენ განახლების ამ დიდ გზაზე გამოსვლას. ისინი არ ელოდებიან რუსეთის არჩეული დამფუძნებელი

---

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR – 18 – 20157

კრების მუშაობის დაწყებას და დაკარგული ეროვნული სუვერენიტეტის აღსადგენად ენერგიულ ნაბიჯებს დგამენ.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემა ყველაზე თანმიმდევულად წინა პლანზე ფინეთის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის, უკრაინის ეროვნულმა პოლიტიკურმა ძალებმა წამოსწიეს. ამ ძალებს წარმატების იმედი გაუჩნდათ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, როდესაც ომში ჩაბმულმა რუსეთმა წარუმატებლობა განიცადა და იძულებული გახდა, იმპერიის ტერიტორიის დიდი ნაწილი დასავლეთით მოწინააღმდეგისათვის ჩაებარებინა.

საქართველოში ამ დროს პოლიტიკურ ასპარეზს დაპატრონებული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიზმი), რომელიც ეროვნულ საკითხს, ისე როგორც ადრე, მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა და პოლიტიკური დღის წერიგის წინა პლანზე რეაქციასთან ბრძოლაში იმპერიის პროგრესულ ძალთა ერთობლივ ძალისხმევას აყენებდა. ეროვნული საკითხისადმი გულგრილი და ერთგვარად ნიჰილიტური დამოკიდებულება რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთას მისი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების დროიდანვე ახასიათებდა.

საქართველოში მაშინ ყველაზე თანამიმდევრულ ეროვნულ ძალას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში ქართველ ინტელგენტთა ის მცირე ჯგუფი წარმოადგენდა, რომელიც 1917 წლის ივნისში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდა. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წიაღში თავიდანვე, 900-იან წლებში გაჩნდა ავტონომისტებისაგან განსხვავებული მიმართულება. ეს იყო ე. წ. ,,მემარჯვენე ფრთა", რომელიც ეროვნულ საკითხში უშუალოდ თერგდალეულთა პროგრამას აგრძელებდა. იმ პერიოდში ამ მიმართულების მესვეურნი იყვნენ გიორგი დეკანოზიშვილი, თედო სახოკია, პეტრე სურგულაძე, ლეო კერესელიძე, გიორგი მაჩაბელი და სხვები. ეროვნულ-დემოკრატიული ძალების პოლიტიკურ პარტიად გაერთიანების ცდას ჯერ კიდევ 1905 წელს ჰქონდა ადგილი. ამ პარტიის ერთ-

ერთი წარმომადგენელი დამფუძნებელ კრებაში და მეისტორიე ალ-ექსანდრე ასათიანი შენიშნავს, რომ ,,მესამოციანელთა" ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების ცდას უკვე 1905 წელს ჰქონდა ადგილი".[1.124;3.4]. ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ეწყობა თათბირები, სადაც გადაწყდა პოლიტიკური პარტიის დაარსება ეროვნულ-დემოკრატიული სახელწოდებით. შემუშავებულ იქნა და დაიბეჭდა პარტიის პროგრამა და წესდება, მაგრამ საქმე არსებითად ამას ვერ გასცდა.[1.125].

რუსეთის იმპერიაში 1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომ არსებულ რეაქციის წლებში ინტელიგენციის ამ ჯგუფის ერთი ნაწილი იძულებული შეიქმნა ევროპაში გახიზნულიყო. ევროპის სხვადახვა ქალაქებში თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას ენერგიულად განაგრძობდნენ პეტრე სურგულაძე, ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი, გიორი მაჩაბელი და სხვები. ეროვნული დამოუკიდელობისათვის მებრძოლთა ძლიერი ჯგუფი კონსპირაციულად მოღვაწეობდა თბილისში. ამ ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სიმონ ყიფიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, რევაზ გაბაშვილი, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვები. ეს ჯგუფი თბილისში სცემდა საკუთარ ჟურნალს ,,ერის" სახელწოდებით, რომელიც ცენზურის დევნის გამო სხვადასხვა სახელით გამოდიოდა და გაბედულად მოითხოვდა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას";[11].

ჟენევაში პეტრე სურგულაძემ ძმებთან ლეო და გიორგი კერესელიძეებთან ერთად დაარსა ჟურნალი ,,თავისუფალი საქართველო"; ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრეები ევროპის სხვადასხვა ქალაქებში იყვნენ გაფანტული (მიხაკო წერეთელი - ლონდონში, გიორგი მაჩაბელი - ბერლინში), მაგრამ სისტემატიური კავშირი ჰქონდათ ჟენევის ჯგუფთან და აქტიურად თანამშრომლობდნენ გაზეთ ,,თავისუფალ საქართველო"-ში. ეროვნულ-დემოკრატიული ძალების საქმიანობა განსაკუთრებით გაცხოველდა პირველი მსოფ-

ლიო ომის დაწყებიდანვე. რუსეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში გერმანიის წარმატებებმა და საომარი პლაცდარმის შექმნამ თვით კავკასიაში ამ ჯგუფს, რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იმედები აღუძრა. მეფის რუსეთის მტრულ ძალებთან კავშირი მათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხელშემწყობ ღონისძიებად მიაჩნდათ. ჟენევაში შექმნილმა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ კავშირი გააბა გერმანიის უმაღლეს პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან. დამოუკიდებლობის კომიტეტსა და გერმანიის მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გერმანიის მთავრობა ვალდებულებას იღებდა, თუ იგი ომში რუსეთს დაამარცხებდა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ოსმალეთის მთავრობასთან ასეთივე შეთანხმების გასაფორმებლად სტამბოლში დამოუკიდებლობის კომიტეტის ჟენევის ჯგუფი გაემგზავრა. დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელით მიხაკო წერეთელს და გიორგი მაჩაბელს ცალ-ცალკე მოლაპარაკებაც ჰქონდათ ნოე ჟორდანიასთან, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთან, ეროვნული ძალების ანტირუსულ ერთ ჯგუფად გაერთიანების თაობაზე. მაშინ ეს ,,სეპარატიზმი“ ნოე ჟორდანიამ არ გაიზიარა. ,,ამ დროს, - შენიშნავს ნ. ჟორდანია, - დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ ჩვენ კიდევ არ გვქონდა პარტიული აზრი, საერთო გადაწყვეტილება.“[10.103]

ეროვნული ავტონომიისათვის ბრძოლის დიდი ტრადიციები ჰქონდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, რომელიც ფართო ავტონომიის პრობლემას თავის პროგრამაში მუდამ სათანადო ყურადღებას უთმობდა. თებერვლის რევოლუციის შემდგომი ვითარება ამ პროგრამის განხორციელების საუკეთესო შესაძლებლობას ქმნიდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პერიოდიდან სოციალ-ფედერალისტური მიმართულების ძალთა პრაქტიკული საქმიანობა ერთგვარად მინელდა.

ამრიგად, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღიდანვე ქართულ სინამდვილეში ეროვნული დამოუკიდებლო-

ბის აღდგენის საქმეში გამოკვეთილი იყო 4 ძირითადი მიმართულება: 1. ეროვნულ-დემოკრატიული ანუ ეროვნული სუვერენიტეტის დაუყონებლივი აღდგენისათვის მებრძოლი; 2. სოციალისტ-ფედერალისტური, ანუ ფართო ეროვნული ავტონომიის მომხრე, რომელიც ამ პროგრამის განხორციელებას რუსეთის დამფუძნებელ კრებას ანდობდა. 3. სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური), რომელიც დამოუკიდებლობის პრინციპებისადმი ნიჰილისტურად იყო განწყობილი და მთელი ყურადღება დემოკრატიული რევოლუციის განხორციელებაში მთელი რუსეთის მასშტაბით ძალთა გამთლიანებაზე გადაჰქონდა და 4. ბოლშევიკური, რომელიც ომში საკუთარი მთავრობის დამარცხებისა და სამოქალაქო ომში სოციალისტური რევოლუციის ლენინურ პროგრამას იზიარებდა.

ზემოაღნიშნული ოთხი მიმართულებიდან მასების მხრივ ყველაზე მეტი მხარდაჭერა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჰქონდა. ამჯერად ჩვენი მოხსენების საგანი არაა იმ მიზეზთა კვლევა, რამაც ამ პარტიისადმი მასების განსაკუთრებული ნდობა განაპირობა.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე ყველაზე აქტიური მაინც სამღვდელოება და მოღვაწეთა ერთი ჯგუფი აღმოჩნდა. ქართულმა ეკლესიამ კარგად გამოიყენა თვითმპყრობელობის რეჟიმის დაცემა და მაშინვე დაიწყო ბრძოლა, რაც 1917 წლის მარტში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით დაგვირგვინდა კიდეც.

ჩვენ ვიზიარებთ ალ. ასათიანის იმ დებულებას, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში მოხდა, იყო პირველი ეტაპი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში და, ამასთან ერთად, ის იყო „ფრიად რთული რევოლუციური აქტი და ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია იყო ერთადერთი საერო ძალა, რომელიც აწყობდა და ამზადებდა ამ საქმეს თავიდანვე, ჩვენს მღვდელმთავრებთან ერთად“.[1. 149].

ამავე ძალებმა თებერვლის რევოლუციის შემდეგ პრაქტიკული საქმიანობა გააჩაღეს და ქუთაისში მოიწვიეს ეროვნულ-დემოკრატიული მთავრობის დამფუძნებელი ყრილობა.

ყრილობაზე მიღებული პროგრამა სამ ძირითად დებულებას ემყარებოდა: „პირველი იყო ეროვნული სუვერენობის იდეა, მეორე - სოციალური ცხოვრების კერძო საკუთრების ნიადაგზე შენება და მესამე - სახელმწიფოებრივი წყობის აგება მთელი ერის, მთელის ხალხის უფლება-მოვალეობათა თანასწორობის ნიადაგზე, ხალხური, დემოკრატიული მმართველობის საფუძველზე“.[1. 142].

ეს სამი ცნება, რომელიც ქართული ეროვნული აზროვნების საერთო მონაპოვარს, ხოლო არსებითად „თერგდალეულთა“ იდეური მესვეურის - ილია ჭავჭავაძის - მოძღვრებას ეფუძნებოდა, ფართო პროპაგანდას პოვებდა იმდროინდელ ქართულ პრესაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტრე სურგულაძისა და გიორგი გვაზავას წერილები. ნიშანდობლივია, რომ 1917-18 წლების დამდეგს კონსტანტინოპოლში დაიბეჭდა პეტრე სურგულაძის სამი ნაშრომი, რაც ეროვნული სუვერენიტეტის პრობლემებსა და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ პრინციპებზე აგების დასაბუთებას ეძღვნებოდა.[12, 13, 14].

უნდა აღინიშნოს, რომ, იმ კონკრეტულ მომენტში, საერთო რევოლუციურმა სულისკვეთებამ და მისი გამარჯვებით გამოწვეულმა აღტკინებამ, მართლაც შედარებით უკანა პლანზე გადასწია ეროვნული თავისუფლების პრობლემა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, არსებული ვითარება, თანდათანობით, მაშინდელ პოლიტიკურ დღის წესრიგში ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობას და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის საკითხს, სულ უფრო და უფრო მეტი სერიოზულობით, დაჟინებით და სიმწვავით აყენებდა.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი 1917 წლის აპრილში ,,ინტერპარტიული საბჭოს“ შექმნა იყო. მასში სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების და ეროვნული დემოკრატების წარმომადგენლები შევიდნენ. აპრილის სხდომებზე ამ საბჭომ დააყ-

ენა რიგი სერიოზული საკითხები, მაგრამ მაშინ საქმე მსჯელობის ფარგლებს ვერ გასცდა.

ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს ბიძგი მისცა 1917 წ. ოქტომბერში რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ. სამხრეთ კავკასიაში ამ მოვლენამ დააჩქარა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია - სულ ცოტა ორი უმთავრესი ფაქტორის შედეგად - 1. სამხრეთ კავკასიის არცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, გარდა ბოლშევიკებისა, არ ცნო ოქტომბრის გადატრიალების კანონზომიერება და მას ზურგი შეაქცია; 2. თვით ოქტომბრის ,,სოციალისტურმა რევოლუციამ“ პირველსავე დეკლარაციებში საჯაროდ აღიარა რუსეთის იმპერიის ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის მიზანშეწონილობა, ხოლო ერთა სრული თანასწორობა და სუვერენიტეტი ახალი სოციალისტური სისტემის მთავარ პირობად გამოაცხადა. ის პარტიები, რომლებიც მაშინ მოვლენათა ეპიცენტრში იდგნენ ამიერკავკასიაში რეალური ძალაუფლების დაპატრონებას დაუყონებლივ შეუდგნენ.

პირველი მნიშვნელოვანი და პრაქტიკული ნაბიჯი ამ რთულ გზაზე „ამიერკავკასიის კომისარიატის“ შექმნა იყო. ამ ორგანომ დროულად აუღო რა ალღო მხარის პოლიტიკურ სიტუაციას, გარკვეული ნაბიჯი გადადგა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ამიერკავკასიის სეიმის“ შექმნა, რომელშიც ბოლშევიკური საბჭოთა მთავრობის მიერ გარეკილი დამფუძნებელი კრების სამხრეთ კავკასიელი დეპუტატები შევიდნენ. ,,ამიერკავკასიის კომისარიატისა“ და ,,ამიერკავკასიის სეიმის“ მიერ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში განხორციელებულ ღონისძიებებს (წოდებრიობის გაუქმება, აგრარული კანონი, ერობათა შექმნა და სხვ.) საზოგადოებრიობის ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა. ასეთი დემოკრატიული გადახალისების ვითარებაში წოდებრივი პრივილეგიების ილუზიორობას კარგად აუღო ალღო ქართველმა თავად-აზნაურობამ და თავისი წინამძღოლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გენერალ კოტე აფხაზის ხელმოწერით

საზოგადოებრიობას აუწყა, რომ თავისი წოდების საერთო ქონებას იგი ქართველი ხალხის საკუთრებად აცხადებდა და მას გადასცემდა. ამ ეროვნული აქტის გასაფორმებლად და სხვა მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად პოლიტიკურ დღის წესრიგში დადგა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა, რაც 1917 წლის აპრილში შექმნილმა ,,ინტერპარტიულმა საბჭომ“ ითავა და განახორციელა კიდეც. [20. 13].

ეროვნული ყრილობა საქართველოს ყველა ეროვნების, წოდებისა და პარტიის ინტერესებს ასახავდა. მისი 350-მდე დელეგატი მთელ საქართველოს წარმოადგენდა და დელეგატების კვოტები შემდეგნაირად იყო განაწილებული: პოლიტიკურ პარტიებს-67, ქალაქების თვითმმართველობებს-33, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტებს-89, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს-15, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს-35, თავად-აზნაურობას-20, ქართულ ჯარს-20, მასწავლებელთა კავშირს-9, კოოპერატორებს-8, ქართულ პრესას-9, ვაჭრობა-მრეწველობისა და საბანკო უწყებას-26, ქართველ საზოგადოებრიობას სხვადასხვა ქვეყნებში-6, საკათალიკოსო საბჭოს-1, ქართველ მაჰმადიანებს და ქართველ კათოლიკებს-7, საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს-3, აფხაზებს-2, სხვადასხვა დაწესებულებებს-8. [4; 17. 89-90].

ყრილობას ესწრებოდნენ აგრეთვე მეზობელ ერთა და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი პრჟევალსკი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და სხვები. ,,ინტერპარტიული საბჭოს“ სახელით ყრილობა აკაკი ჩხენკელმა გახსნა. მან თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ოქტომბრის შემდეგ რუსეთში ყველა ერი პოლიტიკურად ჩამოყალიბდა და ცდილობს, თავისი ინტერესების დაცვასო. რუსეთში გაჩნდნენ სხვადასხვა ერების პოლიტიკური სხეულები. ჯერი მიდგა ამიერკავკასიის ერებზე და ,,ამ ყრილობას, - დასძინა ბოლოს, - შეიძლება საქართველოს დამფუძნებელი კრება მოჰყვესო.“[21. 192]. შესავალი სიტყვის შემდეგ აკაკი ჩხენკელმა დელეგატებს თავმჯდომარის პოსტზე ნოე

ჟორდანიას კანდიდატურა შესთავაზა. ნ. ჟორდანიამ თავის პირველ გამოსვლაში ყრილობის ამოცანად ორი ძირითადი საკითხის გადაწყვეტა დასახა: ,,1. საქართველოს ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა, 2. შექმნა იმ საფუძვლისა, რომელზედაც უნდა აგებულიყო ქართველი ხალხის თავისუფალი კულტურული განვითარების დაწესებულებანი.“ 20 ნოემბრს ყრილობაზე ვრცელი მოხსენებით „მიმდინარე მომენტი და ქართველი ერი“ ნოე ჟორდანია გამოვიდა. მოხსენება იმ ვითარებაში მოქმედების ერთობლიობას ასაბუთებდა. წარმატების პირობად მოქმედების საერთო ნიადაგი იქნა გამოცხადებული. საბჭოთა რუსეთს საქართველო ეთიშებოდა მანამ, ვიდრე იქ ანარქია არ აღიკვეთებოდა და დამფუძნებელი კრება არ გაარკვევდა კანონიერი ხელისუფლების საკითხს. ეროვნულ საკითხში ნოე ჟორდანია კვლავ სოციალ-დემოკრატების ადრინდელი პროგრამის ჩარჩოებით იფარგლებოდა.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ თავადაზნაურობის მიერ ბოძებული ქონების ჩაბარებისა და მოვლის გარდა დღის წესრიგში სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც დააყენა. ეს საკითხები შეეხებოდა თვითმმართველობას, არმიას, სკოლას, სასამართლოს და ა.შ. ყველა საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია. ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო (60 კაცის შემადგენლობით), რომელმაც იმავე დღესვე შექმნა აღმასრულებელი კომიტეტი. ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია იქნა არჩეული. აღმასრულებელ კომიტეტში შევიდა: 8 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი, 2 ეროვნულ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-რევოლუციონერი და 1 წარმომადგენელი სამაჰმადიანო საქართველოდან. ბოლშევიკურმა პარტიამ ეროვნულ ყრილობას, ისევე როგორც „ამიერკავკასიის კომისარიატს“, ბოიკოტი გამოუცხადა. [5.17.93]. იგი ამიერკავკასიის ხალხებს ამ „კონტრრევოლუციურ“ წარმონაქმნთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. მოვლენათა განვითარებას ალღო სწორად აუღეს მენშევიკებმა, რომლებმაც იგრძნეს, რომ ეროვნულ საკითხში

ადრინდელი ინდიფერენტული პოზიცია მათ გავლენას დიდ ზიანს აყენებდა და საჭიროდ გეზის შეცვლა ჩათვალეს.

პირველი ეროვნული ყრილობა ალექსანდრე ასათიანს სრულიად მართებულად პოლიტიკური დამოუკიდებლობის ,,მეორე მნიშვნელოვან ეტაპად“ მიაჩნია. ამ ყრილობამ მართლაც სათავე დაუდო ეროვნულ სუვერენიტეტს. ამრიგად, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ამავე დროს ეს ყრილობა იყო სათავე ქართული ეროვნული პარლამენტისა.

ეროვნული დამოუკიდებლობის ინტელექტუალურ შემზადებაში ასევე დიდი როლი თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებამ ითამაშა. 1918 წლის 26 იანვარს გახსნილმა ქართულმა უმაღლესმა სასწავლო და სამეცნიერო კერამ, თვალსაჩინო ეროვნულ მოღვაწეთა და მეცნიერთა ჯგუფი შემოიკრიბა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მასებს სულიერი სიმხნევე გაუმტკიცა [20. 15].

ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საგარეო ფაქტორიც. 1918 წ. 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილი ზავის პირობებით საბჭოთა მთავრობამ ისე, რომ ამიერკავკასიის ხალხებისათვის არაფერი უკითხავს, თურქეთს დაუთმო არდაგან-ბათუმის ოლქები. ზავის ამ უმძიმესი პირობების მიღება შეუძლებელი იყო და იგი მართებულად უარყო ამიერკავკასიის სეიმმა. ოსმალეთი კი მისთვის მიკუთვნებული ტერიტორიების დაკავებას შეუდგა. ტრაპიზონში გამართულმა საზავო კონფერენციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. სეიმმა მართალია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ვითარება ამის შემდეგაც არ შეიცვალა.

1918 წელს მაისის დამდეგისათვის საქართველოსი არსებული კონკრეტული ვითარება უმძიმესი იყო: ოსმალეთის ჯარებმა ჯერ კიდევ 7 აპრილს დაიკავეს ოზურგეთი. მხოლოდ მეორე დღეს, გმირული თავგანწირვით, ვალოდია გოგუაძის ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით, ქართველთა რაზმებმა თურქთა წინსვლა ჩოლოქთან შეაჩერეს.[20. 16]. ამავე დროს თურქთა აგენტებმა - წერს ვ. ნოზაძე, -

„ახალციხის მაზრაში გამოიწვიეს იქ მცხოვრებ თათართა აჯანყება. აჯანყებულებმა 19 ქართული სოფელი დაარბიეს და ააწიოკეს: აიღეს აბასთუმანი, აწყური, ზეკარი და ალყა შემოარტყეს ახალციხეს; ამიერკავკასიის მთავრობის ეგრეთწოდებული „მაჰმადიანური პოლკიც“ ქართული მხედრობის წინააღმდეგ იბრძოდა.[6. 38]. ამავე დროს ბოლშევიკები თავიანთი აგენტების მეოხებით არევ-დარევასა და უწესრიგობას იწვევდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ხალხს მოუწოდებდნენ არ ებრძოლათ თურქების წინააღმდეგ.

თუ ამ ზუსტად დახატულ სურათს შევავსებთ იმ მოვლენით, რომ თვითონ ამიერკავკასიის მთავრობაში აზერბაიჯანელთა წარმომადგენლები თურქეთთან ომზე უარს აცხადებდნენ და მის გამარჯვებას ხელსაც უწყობდნენ, მაშინ ნათელი გახდება ის მართლაცდა უმძიმესი მდგომარეობა, რომლის მიხედვით ომის გაგრძელება სრულებით შეუძლებელი იყო. ვინაიდან დამხმარე ძალა არსაიდან ჩანდა და იარაღიც არ მოიპოვებოდა, ერთადერთი გამოსავალი იყო ისევ საზავო მოლაპარაკების განახლება, მაგრამ ამიერკავკასიას არ შეეძლო ზავზე ლაპარაკი სანამ იგი ფორმალურად რუსეთის ნაწილად ითვლებოდა. ამიტომ საჭირო შეიქმნა რუსეთიდან ჩამოშორება, გამოყოფა და დამოუკიდებლობის გამოცხადება“ აღნიშნავს ვიქტორ ნოზაძე [6. 38-39].

მართლაც, 1918 წ. მაისისათვის საქართველო კატასტროფის წინაშე იდგა. სამხრეთ საქართველოს ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა. წარმატებით გათამამებულმა თურქებმა მესხეთში აჯანყება მოაწყეს. ხელთ იგდეს მთელი ეს მხარე. მათ საგანგებო კრებებზე მიიღეს დადგენილება, რომ მესხეთი თურქეთისათვის შეეერთებინათ. ამის თაობაზე მიღებული დადგენილების ტექსტი გაგზავნეს ბრესტ-ლიტოვსკში, ტრაპიზონში, ხოლო შემდეგ ბათუმის საზავო კონფერენციაზე. ამ დადგენილების განსახორციელებლად მათ 40 დელეგატი შეარჩიეს, რომელთაც ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულად შესრულება დაეკისრათ. [9. 316]. ახალციხე-ახალქალაქის მხარეში სერვერ-ბეგი ქართველობის ნიშან-წყალს ანადგურებდა და მთელი მხარის ოსმალეთისათვის მიერთებას ლამობდა. საქართველოს სამ-

ხრეთში მიმდინარე ამბებს ოსმალეთი თითქოს წაყრუებით ეკიდებოდა და ამ ექსტრემისტული საქმიანობისაგან ოფიციალურად განზე იდგა. თუმცა, საქმეში ღრმად ჩახედულთათვის ცხადი იყო, რომ ყველა აქცია პანთურქისტული წრეების მიერ იყო შემზადებული და იმ გეგმის ნაწილს წარმოადგენდა, რომლის განხორციელებას ოსმალეთის ხელისუფლების იმდროინდელი მესვეურები პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდანვე ისახავდნენ მიზნად.

საქართველოს სამხრეთში დატრიალებული ანტიქართული აქციების სალიკვიდაციოდ ეროვნულმა საბჭომ აქტიური ბრძოლა გააჩაღა. ეროვნული საბჭოს ინიციატივით გამოცხადდა ქართველი ახალგაზრდობის მობილიზაცია. მისი თაოსნობით კავკასიის ფრონტზე მებრძოლი ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან ჩამოყალიბდა სამხედრო ნაწილები, რომლებიც წინ აღუდგნენ თურქეთის ინტერვენციას. ენერგიული ზომები იქნა მიღებული ბათუმის დასაცავად. უაღრესად დაძაბული ვითარება სუფევდა საქართველოს სხვა რაიონებშიც. ფრონტიდან დაბრუნებული გაბოლშევიკებული ჯარისკაცების წაქეზებით აგრარული მღელვარებანი დაიწყო ლეჩხუმში, საჩხერეში, სამეგრელოსა და, განსაკუთრებით, აფხაზეთში. ეს ,,მეხუთე კოლონა“ წყალს მტრის წისქვილზე ასხამდა და საქართველოს თავდაცვის უნარიანობას დიდად ასუსტებდა. ამ დროის შინაური ანარქია იმდენად ანტიეროვნულ აქციად ჩანდა, რომ, ოფიციალურად, ბოლშევიკური ორგანიზაციის დასავლეთ საქართველოს კომიტეტმაც კი დაგმო იგი და საქართველოს მშრომელებს ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

„საერთოდ ყველა ის ომი და შეტაკება, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამიერკავკასიის ფარგლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხანაში და დამოუკიდებელი არსებობის დროს, - შენიშნავს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, - აშკარად თუ ფარულად, მაგრამ სავსებით ოსმალეთისა და რუსეთის მიერ იყო გამოწვეული და ნაწარმოები. ქართველი ერის სუვერენო-

ბის აღდგენის მომენტში მას ულმობლად სცემდა მახვილს და ცეცხლს უკიდებდა ოსმალეთი და იმავე დროს ზურგიდან ესხმოდა რუსეთი, რომელიც ხან აშკარა რუსულ-ქართულ ფრონტებს უქმნიდა ნორჩ რესპუბლიკას, ხან კიდევ მოუსვენრად და განუწყვეტლივ სწევდა უამრავ ხარჯებსა და მსხვერპლს, რომ თვით ქართველი ხალხის მთლიანობა შიგნიდან მოეშალა; ამ მიზნით სოციალურ სამოსელში გახვეული იჭრებოდა თავის მოსაზღვრე და მახლობელ პროვინციებში, დუშეთში, ოსეთში, აფხაზეთ-სამეგრელოში და სამოქალაქო მოძრაობის ნიღაბ ქვეშ საქართველოს დასამხობად რუსულ დაპყრობით ომს აწარმოებდა“. [8. 149].

ასეთი იყო ვითარება, როცა მოვლენათა მსვლელობამ დღის წესრიგში ამიერკავკასიის სეიმისა და ფედერაციული მთავრობის დაშლის საკითხი დააყენა. ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირი, რომელიც 1918 წ. აპრილში შეიქმნა თავისთავად როდი იყო რეაქციული, ან კავკასიის ხალხთა ინტერესების მტრული გაერთიანება, პირიქით, მსოფლიო ომის პირობებში იგი თითქოს აუცილებელი ჩანდა, მაგრამ იმავე ომმა დაამტკიცა, რომ ეს ნაბიჯი ნაადრევი იყო, რადგან მას წინ არ უძღოდა შემავალ რესპუბლიკათა სუვერენობის აღდგენა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოწყობა. რუსეთის ასწლიანი ბატონობის ვითარებაში ეროვნულად განგებ ათქვეფილი ამიერკავკასია ჯერ უნდა გაყოფილიყო ტერიტორიულად. მათ ჯერ „უნდა გამოეკვეთათ თავიანთი გარკვეული სახე და შემკვრივებული სხეული. სრულიად აუცილებელი იყო ეს პროცესი იმიტომ, რომ საუკუნეთა განმავლობაში სამხრეთელმა და ჩრდილოეთელმა დამპყრობლებმა განზრახ ათქვიფეს და ააფორიაქეს ეთნოგრაფიულად ამიერკავკასია, ხელოვნურად მიხლიჩ-მოხლიჩეს და ააჭრელეს მოსახლეობა, რომ მით მოესპოთ საშუალება ეროვნულ სახელმწიფოთა აღორძინებისა და, ამრიგად, განუკითხავად ებატონათ. ერთი სიტყვით ამიერკავკასიელი ხალხებისა და, კერძოდ, ქართველი ერის ნორმალური განვითარება მძლავრად მოითხოვდა ჯერ გაყოფას, ეროვნული ოჯახის მოგვარება-დალაგებას, ეზო-გარემოს გარკვევით შემოფარგვლას, ერთი სიტყვით, ეროვნულ დაწდომა-დაკრის-

ტალებას და მხოლოდ ამის შემდეგი საფეხური იქნებოდა სამთა თავისუფალი, საერთაშორისო კავშირი და არა ჯოგური აღრევა და ათქვეფა ერთ უსახო ამიერკავკასიის სახელმწიფოს კავშირში“ - მართებულად შენიშნავდა გრიგოლ ლორთქიფანიძე. [8.141].

1918 წლის 11 მაისს ბათუმში საზავო კონფერენცია გაიხსნა. თურქეთის დელეგაციის მეთაური ვეჰიბ ფაშა მოლაპარაკების დაწყების წინაპირობად ამიერკავკასიის ჯარების მიერ ყარსის, ბათუმის, არდაგანის ოლქების დაუყოვნლებლივ დატოვებას აცხადებდა.[18. 86]. ულტიმატუმზე უარის შემთხვევაში ოსმალეთის მხარე ალექსანდროპოლსა და თბილისზე შეტევითი ოპერაციების განახლებით იმუქრებოდა. 14 მაისს ხალილ ბეიმ ამიერკავკასიის მთავრობას მოსთხოვა ოსმალეთისათვის მისი სარკინიგზო ქსელის გამოყენების თანხმობა მიეცა თურქეთიდან სპარსეთში სამხედრო ნაწილების გადასაყვანად. საქართველოს საზავო დელეგაციის მეთაურის აკაკი ჩხენკელის პროტესტის მიუხედავად, თურქებმა თავიანთი მოთხოვნა ულტიმატუმის სახით ჩამოაყალიბეს და მისთვის რომ მეტი სიმტკიცე მიეცათ ალექსანდროპოლი დაიკავეს. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ბათუმის მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გაემგზავრა. ქართულმა დელეგაციამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეში როგორც შუამავალი გერმანიის დელეგაცია ჩაერია. გერმანიის დელეგაცია - გენერალ ოტო ფონ ლოსოვის მეთაურობით, ბათუმში თურქებისათვის მოულოდნელად ჩამოვიდა. გერმანიაზე ორიენტაციის აღება იმ კონკრეტულ ვითარებაში ერთადერთ სწორ გამოსავალს წარმოადგენდა. ოსმალეთის მოთხოვნათა უსამართლობის შესახებ გერმანიის მთავრობას საპროტესტო ნოტა გადაეცა. რა თქმა უნდა, გერმანიის მთავრობას ამიერკავკასიაში საკუთარი ინტერესებიც ჰქონდა, მაგრამ ახლა მხოლოდ მას, როგორც ოსმალეთის მოკავშირეს და პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდანვე მთელი მისი საგარეო პოლიტიკის წარმმართველს, შეეძლო ალიკაპი ამოედო ოსმალეთის ანექსიონისტური ზრახვებისათვის და საქართველო ოსმალეთის ოკუპაციისაგან ეხსნა; ისიც გასათ-

ვალისწინებელი იყო, რომ, გერმანია-ოსმალეთის ურთიერთობაში თავს უკვე სერიოზული უთანხმოებანიც იჩენდა.

ნოე ჟორდანიამ და ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურმა აკაკი ჩხენკელმა სეიმთან შეუთანხმებლად ეროვნული საბჭოს რწმუნებით დაიწყეს მოლაპარაკება გერმანიის დელეგაციის მეთაურ გენერალ ფონ ლოსოვთან, რომელსაც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ისედაც ავალებდა, გავლენა მოეხდინა თურქებზე და მისი პრეტენზიები ამიერკავკასიის მიმართ ბრესტის საზავო პირობებით შეეზღუდა. მიუხედავად იმისა, რომ ხალილ ბეიმ მოლაპარაკებაში გერმანიის დელეგაციის ჩარევაზე პროტესტი განაცხადა, ფონ ლოსოვი აკაკი ჩხენკელთან მოლაპარაკებას მაინც განაგრძობდა.

მოლაპარაკების პროცესში დღის წესრიგში დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივი გამოცხადების საკითხი. საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული ხელისუფლების არსებობის ვითარებაში საქართველოს ეროვნულ საბჭოს არ შეეძლო დამოუკიდებლად ემოქმედა. იგი სეიმის დასტურის გარეშე გერმანიასთან ვერ დადებდა ვერავითარ შეთანხმებას. სეიმისაგან კი ასეთი დასტური მოსალოდნელი არ იყო, ვინაიდან მუსავატელებიც და დაშნაკებიც მოლაპარაკებაში საკუთარი პროგრამით ხელმძღვანელობდნენ, რაც საქართველოს ინტერესებს მკვეთრად უპირისპირდებოდა.

უმძიმესი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი იყო მთელი ძალაუფლების ეროვნული საბჭოსათვის გადაცემა და მისი დასტური გერმანიასთან ხელშეკრულების დადების თაობაზე. „დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი. მისი გატარება ჩვენს რევოლუციურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანად. ამ მისიით დავბრუნდი თბილისშიო“, - წერს თავის მოგონებებში ნოე ჟორდანია. [10. 128].

დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადება მაინც იგვიანებდა. აკაკი ჩხენკელი ბათუმიდან დეპეშას დეპეშაზე გზავნიდა

იმის თაობაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადებულიყო. „ამის გარეშე გერმანიის დელეგაციასთან მოლაპარაკებას აზრი ეკარგება, თურქები კი შეტევას განაგრძობენო“,- აღნიშნული იყო დეპეშაში. 24 მაისის დეპეშაში აკაკი ჩხენკელი იტყობინებოდა, რომ მან თითქმის დაამთავრა მოლაპარაკება გერმანელებთან და გამზადებული აქვს ხელის მოსაწერად რამდენიმე ხელშეკრულება. ჩხენკელი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ გერმანიის წარმომადგენლად საქართველოს მთავრობასთან გრაფი შულენბურგი უნდა დანიშნულიყო. [20. 23].

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს - გიორგი გვაზავას - დააკისრა საბოლოოდ დაეხვეწა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც ზურაბ ავალიშვილის და პეტრე სურგულაძის მონაწილეობით ბათუმში შედგა.

26 მაისს დილით სეიმის სხდომა გაიმართა. იგი სეიმისთვის საბოლოო გამოდგა. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ამ დროისათვის უკვე შემზადებული ჰქონდა დეკლარაციის დოკუმენტი და ხუთი საათისთვის ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა იყო მოწვეული.

ამ ისტორიული სხდომის შესახებ თბილისელები მთლიანად ინფორმირებული იყვნენ. სასახლის გარშემო ხალხი იყო შეკრებილი, რომელიც ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების გამოცხადებას გულის ფანცქალით ელოდა.

5 საათზე ეროვნული საბჭოს წინაშე ნოე ჟორდანია გამოვიდა შემდეგი განცხადებით: „მოქალაქენო, დღეს თქვენ აქ მოწამე იყავით ერთი ისტორიული და ამავე დროს ტრაგიკული ფაქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. [20. 25].

10-წუთიანი შესავლის შემდეგ ნოე ჟორდანიამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა. ამ აქტით ქვეყანას ეუწყა, რომ: „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი

ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპ-ყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1.ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. [21].

ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში ,,ჩემი წარსული“ იხსენებს: ,,ამ ნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ხარტიად. იშვა 26 მა-ისი. იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი.“ [10. 130].

სასახლესთან შეკრებილ ხალხს დეკლარაციის ქართული და რუსული ტექსტები ეროვნული საბჭოს დეპუტატებმა წაუკითხეს. ხალხმა თავისი გულის ნადები ტაშის გრიალით გამოხატა. დამ-სწრეთა გადმოცემით ამ ისტორიულ დღეს მთელი თბილისი ზეიმ-ობდა. „სიონის ტაძრის ზარებმაც დარეკეს იმ დღეს, როგორც ძვე-ლად იცოდნენ, ოდეს მტრისაგან განთავისუფლებული ქვეყნის თა-ვისუფლებას მიულოცავდნენ ხოლმე“. [6. 39].

ეროვნული საბჭოს იმავე გაფართოებულმა სხდომამ ფრაქცი-ებთან წინასწარი შეთანხმებით საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის მთავრობა შექმნა. მთავრობის თავმჯდომარედ და შინა-გან საქმეთა მინისტრად ნოე რამიშვილი დაინიშნა. საგარეო საქმე-თა მინისტრის პოსტი აკაკი ჩხენკელმა დაიკავა; სამხედრო მინის-ტრი გახდა გრიგოლ გიორგაძე, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველო-ბისა - გიორგი ჟურული, განათლებისა - გიორგი ლასხიშვილი, მი-წათმოქმედებისა - ნოე ხომერიკი, იუსტიციის - შალვა მესხიშვილი, გზათა - ივანე ლორთქიფანიძე. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეო-ბა კვლავ ნოე ჟორდანიას დაეკისრა. ეროვნული საბჭოს შემადგენ-ლობა 120 კაცამდე გაიზარდა. იმავე დღეს, საღამოს, ნოე რამიშვილ-

მა უცხოეთის სახელმწიფოებს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რეპუბლიკის შექმნის შესახებ დეპეშით აცნობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ასზე მეტმა ეროვნულმა მოღვაწემ მოაწერა ხელი.

ასეთ ისტორიულ ქარტეხილში იშვა ქართული პარლამენტი (ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭო, ხოლო შემდეგ საქართველოს პარლამენტი). სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით ქართველმა ხალხმა აღასრულა თავისი საუკუნეობრივი ნაოცნებარი, რეალობად აქცია ის ნალოლიავები იდეალები, რაც 117 წლის განმავლობაში განსაზღვრავდა საქართველოს საუკეთესო შვილთა ცხოვრება-მოღვაწეობას. საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ქართველი კაცისათვის ეროვნული თავისუფლების მიღწევა დომინანტი იდეა იყო და ამ პერიოდის განმავლობაში იგი მეტ-ნაკლები აქტივობითა და წარმატებით სულ იბრძოდა მისი რეალურად განხორციელებისათვის. სწორედ ამიტომ ქართველი ხალხი თავის დამოუკიდებლობას მორალურად სრულიად მომზადებული შეხვდა, რაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი ხანმოკლე არსებობით ისტორიის წინაშე თვალნათლივ დაადასტურა.

საქართველოს ეროვნული საბჭო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და 10 თვის განმავლობაში ენერგიულად ახორციელებდა რა თავის ფუნქციას, დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკის ნამდვილი ჭირისუფალი, ხალხის ნების გამომხატველი, მისი ბედ-იღბალის განმგებელი იყო.

1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

საქართველოს პარლამენტის სხდომებზე განხილულ საკითხთა მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ ყოფილა საქართველოს პირველი რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ცხოვრების რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომ ხელისუფლების ამ ორგანოს მის შესახებ არ ეთქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა და ეს არ აესახა თავის კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელსაც ისტორიამ პატივი არგუნა გამოეცხადებინა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რომელიც 1918 წლის 8 ოქტომბრიდან საქართველოს პარლამენტი გახდა, თავისი რწმუნება დემოკრატიულად არჩეულ დამფუძნებელ კრებას ჩააბარა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა.

ლიტერატურა

1. ასათიანი ალექსანდრე, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნი I, პარიზი, 1928.

2. გვაზავა გიორგი, პეტრე სურგულაძე, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1931, N63.

3. გვაზავა გიორგი, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე), პარიზი, 1928.

4. გაზ. ,,ერთობა“, 1918, 20 ნოემბერი.

5. გაზ. ,,ერთობა“, 1918, 21 ნოემბერი.

6. ბ.ვარდანი (ვიქტორ ნოზაძე), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა, ჟურნ. ,,კავკასიონი“, პარიზი, 1947.

7. გაზ. „თავისუფალი საქართველო“, ჟენევა, 1908, N1.

8. ლორთქიფანიძე გრიგოლ, ფიქრები საქართველოზე (რედაქტორ-შემდგენელი პაატა სურგულაძე), თბილისი, 1995.

9. ნოზაძე ვიქტორ, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, ჟურნ. ,,ქართლოსი“, პარიზი, 1939.

10. ჟორდანია ნოე, ჩემი წარსული (მოგონებანი), პარიზი, 1953.

11. სალია კალისტრატე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს (მასალა ისტორიისათვის), ჟურნ. ,,კავკასიონი“, პარიზი, 1947.

12.სურგულაძე პეტრე, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, სტამბოლი, 1918.

13.სურგულაძე პეტრე, საქართველო თავისუფლებისაკენ, სტამბოლი, 1917.

14.სურგულაძე პეტრე, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტამბოლი, 1918.

16. ურატაძე გრიგოლ, ნამდვილი და ყალბი ისტორია, პარიზი, 1958.

17. ურატაძე გრიგოლ, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წწ., პარიზი.

18. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис,1919.

19. Церетели И., Воспоминания о февральской революции, книга первая, Париж, 1963.

20. სურგულაძე პაატა, ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბილისი, 1991.

21. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი, ტფილისი, 1918;

Paata Surguladze

The Birth of the Parliament of Democratic Republic of Georgia

Abstract

This article deals with the factors that influenced the revival of Georgia's state independence and the birth of the Parliament of Democratic Republic of Georgia.

The situation in Georgia after the 1917 February Revolution in the Russian Empire is discussed. The views of political parties concerning the solution of national problem are of no less importance. The steps of national forces towards this goal are addressed. In addition, the revival of autocepaly of the Georgian Apostolic Orthodox Church, the creation of the Interpar- tial Council and the first national conference held in November 1917 by this Council are discussed. The foundation of Tbilisi State University and its role in the intellectual preparation of the State's independence is mentioned. The attitudes of Georgian political forces towards the October Revolution, the seizure of power by Bolsheviks in Russia and its total unacceptability for these political forces are examined.

The discussion highlights the activities of both the Transcaucasian Commissariat and the Transcaucasian Seim, and analyses foreign factors influencing the situation. Furthermore, the Trabzon and Batumi Conferences , the disagreements within the Transcaucasian Delegation, Noe Jordania's and Akaki Chenkheli's negotiations with the German Delegation as well as Germany's leading role in Georgia's declaration of independence are discussed in the article.

In conclusion, the article concentrates on the fact that the birth of the Parliament of the Georgian Democratic Republic should be comprehended as a logical ending point of the national-liberation movement of Georgia. The Georgian Parliament was fully prepared and started the building of a new, qualitivly different state with great willpower.